პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი

№ 49 (14045) | ოთხშაბათი, 28 თებერვალი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XIV ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XIV ყრილობის დელეგატებს და მათი სახით გმირ მუშათა კლასს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთ — კომუნიზმის მშენებლებს.

თვითმპყრობელობისა და კაპიტალის უღლის წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლში შობილმა ჩვენი ქვეყნის პროფესიულმა კავშირებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი და სახელოვანი გზა განვლეს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მსოფლიოში პირველად პროფკავშირების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დასახა. დიდმა ლენინმა უაღრესად ზუსტად განსაზღვრა პროფკავშირების როგორც მართვის სკოლის, მეურნეობის გაძღოლის სკოლის, კომუნიზმის სკოლის საქმიანობის მთავარი მიმართულება.

საბჭოთა პროფკავშირები კომუნისტური პარტიის აქტიური თანამშემწენი, მისი პოლიტიკის ერთგული გამტარებელნი, მასების ნაცადი ორგანიზატორები არიან. სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ისინი პირნათლად ასრულებდნენ და ასრულებენ ამოცანებს, რომლებიც მათ პარტიამ დააკისრა. პროფკავშირებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში, კულტურული რევოლუციის განხორციელებაში, დიდი სამამულო ომის მრისხანე ჟამს ფაშიზმის განსანადგურებლად მშრომელთა დარაზმვაში, ქვეყნის ეკონომიკის ომისშემდგომ აღდგენასა და მისი საწარმოო ძალების მძლავრ აღმავლობაში, სოციალიზმის მთლიანად და საბოლოოდ გამარჯვებაში. პროფკავშირები მთელ თავიანთ მუშაობას აგებენ ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე და ეხმარებიან პარტიას შეაკავშიროს ყველა ეროვნების მშრომელები, განამტკიცოს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა. კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი დიდად აფასებენ პროფკავშირთა რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს დამსახურებას, რომლებიც თანმიმდევრულად ასორციელებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ანდერძს.

ახლა, კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში, კიდევ უფრო იზრდება პროფკავშირთა როლი ჩვენი საზოგადოების ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში.

თავის პროგრამაში, XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში ჩვენმა პარტიამ განსაზღვრა ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანები კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. ამ ამოცანათა განსახორციელებლად საჭიროა შემდგომ განვითარდეს ჩვენი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ენერგია და შრომითი აქტივობა. ამ პირობებში განსაკუთრებით საჭიროა ავამაღლოთ პროფესიულ კავშირთა 86-მილიონიანი არმიის ორგანიზატორული და აღმზრდელობითი როლი.

საბჭოთა პროფკავშირებმა კიდევ უფრო მაღლა უნდა ასწიონ სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის დროშა, განავითარონ მასების შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, ყოველნაირად დაეხმარონ მშრომელთა კოლექტივებს ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, აქტიურად დაუჭირონ მხარი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა პატრიოტულ წამოწყებებს, გავრცელონ მათი გამოცდილება, ფართო ფრონტით აწარმოონ ბრძოლა წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებისათვის, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის ტექნიკის სრულყოფის, შრომის, წარმოებისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა აღზრდას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ პროფესიული კავშირები. უეჭველია, რომ პროფკავშირები კვლავაც ყოველდღიურად იმუშავებენ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის მასების კომუნისტური შეგნებულობის ამაღლება, მათი აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, მოზარდი თაობის აღზრდა მუშათა კლასის რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებზე.

პროფკავშირთა ღვიძლი საქმეა ზრუნვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების, დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის. პროფკავშირთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაძლიერონ კონტროლი შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების შესრულებისადმი, გაუმჯობესონ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა, მოსახლეობის სამედიცინო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება. საჭიროა ყოველნაირად დაეხმარონ მშრომელ ქალს, მუშა დედას ბავშვების აღზრდაში, იბრძოლონ საბავშვო ბაღების, ბაგების, პიონერული ბანაკების მშენებლობის გეგმების დროზე შესრულებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

პროფესიული კავშირები დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებაში, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში, იმაში, რომ ჩაბან მშრომელთა ფართო მასები, სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში. კოლმეურნეობებში პროფკავშირულ ორგანიზაციათა შექმნით მაღლდება პროფკავშირთა პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის და ერთ-ერთი უდიდესი სოციალური ამოცანის — ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დონეთა, ინდუსტრიული მუშისა და სოფლის მშრომელის შრომის დაახლოების ამოცანის გადაწყვეტისათვის.

საბჭოთა პროფკავშირები თავიანთ XIV ყრილობას შეეგებნენ დიდი გამოცდილებით გამდიდრებულნი. კვლავაც განუხრელად უნდა ავამაღლოთ პროფკავშირთა ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის დონე, სრულვყოთ სტილი და მეთოდები, გავაღრმაოთ მასებთან კავშირი, განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, საქმიანობა და კონკრეტულობა მუშაობაში, ავამაღლოთ პროფკავშირთა თვითეული კომიტეტისა და საბჭოს ბრძოლისუნარიანობა, პროფკავშირის ყველა წევრის აქტიურობა.

საბჭოთა პროფკავშირებს ახლა, ისე როგორც საბჭოების ქვეყნის ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე, მაღლა უჭირავთ კლასობრივი სოლიდარობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, ავითარებენ მეგობრობას ხაზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელებთან, პროგრესულ პროფკავშირულ ცენტრებთან, თანმიმდევრულად იცავენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობას კლასობრივ-რევოლუციურ პრინციპებზე. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად პროფკავშირები გულისწყრომით გმობენ ამერიკის იმპერიალიზმის პროვოკაციებს, ამერიკელ აგრესორთა სისხლიან ბოროტმოქმედებასა და თარეშს ვიეტნამში, ნეოფაშიზმისა და მილიტარიზმის აღორძინებას დასავლეთ გერმანიაში.

მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისათვის, მსოფლიო მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის თანმიმდევრული ბრძოლით საბჭოთა პროფკავშირებმა მუშათა კლასის, ყველა ქვეყნის მშრომელთა მადლობა და პატივისცემა დაიმსახურეს. პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგული საბჭოთა პროფკავშირები კვლავაც იქნებიან იმპერიალისტური რეაქციის ძალებისა და ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პროფკავშირთა XIV ყრილობის დელეგატებს უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სსრ კავშირის პროფესიული კავშირები პარტიის ხელმძღვანელობით, სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით კიდევ უფრო აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, თავდადებით იბრძოლებენ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — მართვისა და მეურნეობის გაძღოლის სკოლას, კომუნიზმის სკოლას!

გაუმარჯოს საბჭოთა მუშათა კლასს — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის მოწინავე და წამყვან შემოქმედებითს ძალას!

დიდება კომუნიზმის მშენებელ, თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლ დიდ საბჭოთა ხალხს!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXVII ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXVII ყრილობის დელეგატებს, ჩვენი რესპუბლიკის შესანიშნავი ახალგაზრდობის წარმომადგენლებს, საქართველოს ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს, კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ახალგაზრდა თაობას!

საქართველოს კომკავშირის ყრილობა ღირსშესანიშნავ დროს მუშაობს. რამდენიმე თვის წინათ მთელმა საბჭოთა ხალხმა, ყველა პროგრესულმა ადამიანმა ზეიმით იდღესასწაულა 50 წლისთავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. ახლა ჩვენ ვემზადებით მეორე დიადი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად.

კომკავშირი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოწინავე ახალგაზრდობას ეერთიანებს, ატარებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის სახელს. ეს პატივი კომკავშირმა დაიმსახურა თავდადებული შრომით და უსაზღვრო მამაცობით კომუნიზმის იდეალებისათვის, დიდი ლენინის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის კომკავშირი მუდამ იყო პარტიის აქტიური თანაშემწე და რეზერვი კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე. ჩვენ, კომუნისტებს, გვახარებს, რომ პარტიის ყოველდღიურ ზრუნვას საბჭოთა ახალგაზრდობა უპასუხებს შესანიშნავი წარმატებებით შრომასა და სწავლაში, იდეური პოზიციების სიმტკიცით, თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის ნათელი შეგნებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის მაღალი სულისკვეთებით, რომ საქართველოს კომკავშირელები, რესპუბლიკის ყველა ქალიშვილი და ჭაბუკი მუდამ გვიჩვენებენ მონოლითურ ერთიანობას და დარაზმულობას კომუნისტური პარტიის გარშემო, კომუნიზმის დიად საქმეს უძღვნიან თავიანთ საქმეებსა და მისწრაფებებს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ახალგაზრდობით, რომელიც წმიდად ასრულებს ლენინის ანდერძს — სწავლობს კომუნიზმს და თავისი სწავლისა და აღზრდის ყოველ წამიჯს უკავშირებს საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობას. რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები მუდამ სრულყოფენ პოლიტიკური და შრომითი აღზრდის ფორმებსა და მეთოდებს, კომუნისტური მშენებლობის გზით წარმართავენ მოზარდ თაობის შემოქმედებითს აქტიურობასა და ენერგიას.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კვლავაც უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ მთელი მათი მუშაობა ემსახურებოდეს მთავარ მიზანს — თანამედროვე ახალგაზრდა ადამიანის პიროვნების კომუნისტურ ფორმირებას, რომ თვითეული კომკავშირელის ცხოვრებისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა დარგში ჭაბუკანი და მამოძრავებელი ძალა იყოს კომუნისტური შეგნება, იდეური რწმენა, პარტიის საქმისადმი ერთგულება, სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულმა XXIII ყრილობამ ხაზი გაუსვა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო, კულტურულ მშენებლობაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში კომკავშირის მონაწილეობის გაძლიერების დიდ მნიშვნელობას. კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა უზრუნველყონ ყრილობის მითითებების წარმატებით შესრულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები, ახორციელებენ რა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, მუდამ მოწინავენი იქნებიან ბრძოლაში შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებისათვის, წარმოების დისციპლინის განმტკიცებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, მომპირნეობისა და ყაირათიანობისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სოფლის ახალგაზრდა მშრომელებს დაუცხრომლად ზრდონ თავიანთი წვლილი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში. ჩვენ გვახარებს, რომ სოფლის ახალგაზრდა ინტელიგენციამ წამოიწყო ლაშქრობა სოფლის ახალგაზრდობის კულტურული და ზოგადი განათლების დონის ამაღლებისათვის. ეს პატრიოტული მოძრაობა კიდევ უფრო ფართოდ უნდა გაჩაღდეს, გაღრმავდეს.

ჩვენ მოველით საზოგადოებრივი აქტიურობის შემდგომ გაძლიერებას შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც მოწოდებული არიან ცოცხლად და კეთილსინდისიერად ასახავენ ახალგაზრდობა ბასიერ.

ქართველი სტუდენტობის მრავალათასიანმა არმიამ თავი გამოიჩინა როგორც აქტიურმა პოლიტიკურმა ძალამ. ამჟამად ქართველი სტუდენტობისათვის შექმნილია ყველა პირობა, რათა შემოქმედებითად დაეუფლოს მეცნიერებას და სპეციალობას. ეს ავალებს უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციებს კიდევ უფრო აამაღლონ თავიანთი როლი წარმოების მეთაურთა ღირსეული ცვლის, კვალიფიციური სპეციალისტების, აქტიური მოქალაქეების, ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლების მომზადებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას რესპუბლიკის სკოლებში. საჭიროა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა სკოლების კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებისადმი, სრულვყოთ სკოლის ახალგაზრდობასთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, მრავალფეროვანი გავხადოთ მოზარდ თაობასთან მუშაობა.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალგაზრდა ლენინელები, რომლებიც მალე იდღესასწაულებენ ღირსშესანიშნავ თარიღს — ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავს, ღირსეულად განაგრძობენ პარტიის, ხალხის დიად ტრადიციებს, განამტკიცებენ თავიანთი რიგების ერთიანობას, მტკიცე რწმენით გასწევენ წინ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით! თქვენი სახით პარტიას ჰყავს ღირსეული ცვლა, ლენინის საქმისადმი ერთგული ადამიანები, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მამაცი და მედგარი მებრძოლები.

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს!

გაუმარჯოს საქართველოს სახელოვან ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მტკიცე რწმენით მიჰყავს საბჭოთა ხალხი წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მუშაობა დაიწყო საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობამ

27 თებერვალს გაიხსნა საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობა. ყოველივე, რითაც მდიდარია სიკაბუკე — ენერგია, შემართება, უფროსი თაობის საუკეთესო ტრადიციების ერთგულება, მშობლიური კომუნისტური პარტიის საქმის ერთგულება — შერწყმული იყო ამ დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

ამ დიდ ფორუმზე რესპუბლიკის ახალგაზრდობამ გაგზავნა საუკეთესო წარმომადგენლები, ისინი, ვინც თავდადებული შრომით ასახელებს ჩვენს დიად სამშობლოს.

დელეგატები ყრილობაზე შეიკრიბნენ, რათა უმაღლეს პარტიას, მშობლიურ ხალხს, თუ რა წვლილი შეიტანეს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა წარმატებებში, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს ნათელი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, შეაჯამონ გაწეული მუშაობის შედეგები, გამოავლინონ და გააანალიზონ ნაკლოვანებანი, დასახონ მომავლის მოძღვნი.

ყრილობაზე შეკრებილ რესპუბლიკის კომკავშირელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ძალღონე და ცოდნა, დაუშრეტელი ენერგია მოახმარონ მშობლიური კომუნისტური პარტიის დავალებათა შესრულებას, ღირსეული წვლილი შეიტანონ მთელი საბჭოთა ხალხის საერთო საქმეში — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

დილის 10 საათზე კომკავშირის XXVII ყრილობა გახსნილად გამოცხადდა.

ეღერს საზეიმო მარში. დარბაზში შემოჰქონთ რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაციის დროშა. დროშის შემოტანის პატივი წილად ხვდათ საქართველოს კომკავშირის საუკეთესო წარმომადგენლებს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ძნელაძის სახელობის № 7 კომკავშირული ლუმელის მეფოლადე **დ. ბარათაშვილს**, თბილისის 112-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს **ლ. დაუშვილს**, ათგზის მსოფლიო რეკორდსმენს სპარაშუტო სპორტში **ლ. კოვალენკოს**, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწეს კომკავშირულ მუშაობაში **ვ. დიადიშჩევს**, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის წარჩინებულ მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს **ვ. სხულუხიას**, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის გეირაბგამყვანს **ა. ლლონტს**, მეორე თანრიგის ზემდგს **შ. როფუშკოს**.

ყრილობის პრეზიდიუმში აირჩიეს ამხანაგები **ვ. მეკვანაძე, პ. როდიონოვი, დ. სტურუა, ა. სტუჩენკო, რ. ფრუიძე, გ. ჩოგოვაძე, გ. ძოწენიძე, შ. ჭანუკვაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. კუჭავა, ა. ინაური**, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. კომშალოვი**, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი **გ. ფომინოვი**, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირული ორგანოების განყოფილების სექტორის გამგე **მ. შინკევიჩი**, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნები **რ. მეტრეველი, რ. კონცელიძე, ნ. ლაღიძე, ი. გამრეკელი**, გუდაუთის რაიონის სოფელ დურფშის კოლმეურნეობის მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ხ. აგრბა**, მარნეულის რაიონის ალეთის მეგოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ხ. ვერდიევი**, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში **ნ. გაფრინდაშვილი**, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი **ჭ. გოგიტიძე**, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე **ა. ბერიკაშვილი**, ბორჯომის რაიონის სოფელ ბაკურიანის ტბის გრიალში მან წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის კომკავშირის XXVII ყრილობისადმი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. მეტრეველმა.**

ყრილობამ მოისმინა საქართველოს ალკკ სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც წაიკითხა ამ კომისიის თავმჯდომარემ **ზ. ბაკურაძემ.**

მოხსენებათა გამო დაიწყო კამათი. კამათში გამოვიდნენ კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გაბუნია**, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ძნელაძის სახელობის № 7 კომკავშირული ლუმელის მეფოლადე **დ. ბარათაშვილი**, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ხინტბა**, პოეტი **რ. ამაშუკელი**, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი **ჭ. გოგიტიძე**, ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწე კომკავშირულ მუშაობაში **ვ. დიადიშჩევი**, კომკავშირის თელავის რაიკომის პირველი მდივანი **ა. ქენდაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე.**

ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს მიესალმნენ მომავალი კომკავშირელები — თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელები.

შესვენების შემდეგ განახლდა კამათი. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათში გამოვიდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **რ. ბუგიანიშვილი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, არმიის გენერალი **ა. სტუჩენკო**, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **თ. იმედაძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **გ. წერეთელი**, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **რ. სანაკოევი.**

ყრილობის დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკების კომკავშირის წარმომადგენლებს — სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ს. არუთინიანსა** და აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს **მ. ფარაჯიევს**, რომლებიც მიესალმნენ საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობას და უსურვეს წარმატებანი მუშაობაში.

გაისმის მარში და დარბაზში შემოდიან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების ოლქის მეომრები. ჩვენი სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დამცველთა სახელით ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწემ კომკავშირულ მუშაობაში **ვ. გრაჩოვმა** ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს გადასცა მხურვალე ჯარისკაცული სალამი.

განახლდა კამათი, რომელშიც გამოვიდნენ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი **ჟ. შარტავა**, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მევენახეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი **მ. გიოშვილი**, კომკავშირის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი **ი. მგალობლიშვილი**, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობანის რვაწლიანი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი **ნ. კუტუბიძე.**

ყრილობაზე წაიკითხეს საქართველოს კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა მისალმება რესპუბლიკის ალკკ XXVII ყრილობისადმი.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ **გ. მაჭაცარიამ.**

28 თებერვალს საქართველოს კომკავშირის ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

(საქდესი).

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელებმა გუშინ თავი მოიყარეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში თავიანთ XXVII ყრილობაზე.

დელეგატები ჩამოვიდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან, რათა დიდი ხუმარი გაემართათ შესრულებული მუშაობის შესახებ, დაესახათ პროგრამა მომავლისათვის.

ადრე დილიდანვე ფოიე და კულისები დელეგატებით აივსო. ყველგან გაისმის სიმღერები და გაცხოველებული საუბარი. აქ არიან ახალგაზრდა კომკავშირელები — მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები.

ეს ფოტოსურათები გუშინ გადაიღო ჩვენმა კორესპონდენტმა დარბაზში, სადაც ყრილობის სხდომა მიმდინარეობდა. ზემოთ მარცხნივ — სამატეო ყარაული საქართველოს ალკკ დროშასთან; მარჯვნივ — ყრილობის სხდომათა დარბაზში; ქვემოთ — შავი ზღვის ფლოტის კომკავშირელთა დელეგატები ვ. ჩუბინიძე (მარცხნივ) და ა. გორდეევი ისმენენ მოხსენებას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ლენინურ პარტიასთან ერთად — ლენინური გზით

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი კვლავ გახდა მშრომელი ადამიანების დიდი სამეიანი შეხვედრის ადგილი. 27 თებერვალს კრემლში გაიხსნა სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XIV ყრილობა. სსრ კავშირის პროფკავშირები მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 80 მილიონზე მეტ კაცს.

ყრილობას ესწრებიან 85 ქვეყნის 104 ეროვნული პროფკავშირული ცენტრის დელეგაციები, აგრეთვე ხუთი საერთაშორისო ორგანიზაციის დელეგაციები.

დილის ათი საათი. დარბაზში შემოდიან ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ბ. ი. პონომარიოვი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, თ. დ. კულაკოვი, ფ. ს. ხოლომენცევი**, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მჭეხარე ტაშით ხვდებიან.

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. შელეპინი სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობას გახსნილად აცხადებს.

შემდეგ ერთხმად ირჩევენ პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაში შედიან ყველა დარგობრივი პროფკავშირის წარმომადგენლები, ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები.

დელეგატები უდიდესი აღმავლობით ირჩევენ ყრილობის საპატიო პრეზიდიუმს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

დელეგატები იწყებენ ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოების — სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიების შექმნას.

ერთსულოვნად მტკიცდება დღის წესრიგი და მუშაობის წესი. XIV ყრილობის განსახილველად შეიტანეს შემდეგი საკითხები:

1. საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ანგარიში.
2. ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნები.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობა

ბიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ა. პ. კირილენკოს. ა. პ. კირილენკომ წაიკითხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობისადმი. დელეგატებმა და სტუმრებმა დიდი უურადღებით მოისმინეს მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციისადმი მიმართული პარტიის სიტყვები. მისალმების დასკვნითს სიტყვებს შეკრებილნი ტაშის გრიალით ხვდებიან.

ყრილობა შეუდგა დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას. საკავშირო პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა, (მოხსენების შინაარსი იხილეთ მეორე გვერდზე — რედ.).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 27 თებერვალი. (საკდესი). ნაშუადღევს კრემლის ყრილობათა სასახლეში შესვენების შემდეგ მუშაობა განაგრძო

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს ანგარიში

საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ა. ნ. შელეპინის მოხსენება

ჩვენმა ყირილობამ, თქვა ა. ნ. შელეპინმა, დიდი ყურადღებით და მღელვარებით მოისმინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XIV ყირილობისადმი და მათი სახით ჩვენი დიადი სამშობლოს გმირი შუშათა კლასისა და ყველა შშრომელისადმი. ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა პროფკავშირების როლსა და საქმიანობას. მათს რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს დამსახურებას სოციალისტური და კომუნისტური შშენებლობის ყველა ეტაპზე პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში, განსაზღვრა პროფკავშირთა ძირეული ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და მათი განვითარების პერსპექტივები.

ნება მიბოძეთ პროფკავშირთა XIV ყირილობის სახელით პირობა მივცეთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა პროფკავშირები გაამართლებენ კომუნისტური პარტიის მაღალ ნდობას, კვლავაც მისი სიიმედო საყრდენი, აქტიური თანაშემწენი, პარტიის სანშიაო და საგარეო პოლიტიკის ერთგული გამტარებლები იქნებიან, უფრო უკეთ შეასრულებენ კომუნიზმის სკოლის, ჩვენს კეთილაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საბრძოლველად მასების მებრძოლ ორგანიზატორთა როლს, რომელიც პროფკავშირებს ვ. ი. ლენინმა უანდერძა.

პროფკავშირთა XIII ყირილობის შემდგომი პერიოდი, განაცხადა მომხსენებელმა, ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში აღსავსე იყო მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. უდიდესი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყირილობა, რომელმაც შეიმუშავა და ყოველმხრივ დაასაბუთა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული შშენებლობის ამოცანები თანამედროვე პერიოდში, განამტკიცა და შემდგომ განავითარა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური პრინციპები და ნორმები. XXIII ყირილობის ისტორიულმა გადწყვეტილებებმა მთელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძალებისა და ენერგიის უდიდესი აღმავლობა გამოიწვია.

კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში გამოწრთობილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არაჩვეულებრივი უნარით ეწევა უდიდეს თეორიულ, პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საქმიანობას ხალვაზე, აკავშირებს, რაზმავს და წარმართავს საბჭოთა ხალხს ნებას, გონებას, დაუშრეტელ ენერგიას კომუნიზმის ასაშენებლად. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა თავისი გმირული შრომით კიდევ უფრო განამტკიცა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, სანელოთა და დიდებით შემოსა ჩვენი სამშობლო, ამაღლა მისი პრესტიჟი და გადადგა ახალი ნაბიჯი კომუნისტური საზოგადოების შშენებლობის გზაზე.

სოციალიზმის მძლავრი ძალების, ჩვენი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს დიადი ტრიუმფი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთვის იუბილეს ზეიმი. საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და გამარჯვებების შედეგი ნახევარი საუკუნის მანძილზე ყოველმხრივ იყო გაშუქებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე.

ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და შემდგომი პლენუმების, XXIII ყირილობის გადწყვეტილებათა კეთილსაყოფილო გავლენით ჩვენი პარტია კიდევ უფრო ძლიერი გახდა, გაფართოდა და განმტკიცდა მისი კავშირი ხალხთან, განუზომლად ამაღლდა მისი ავტორიტეტი. პარტია მუდამ ზრუნავს პროფკავშირებისათვის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის პროფესიულ კავშირებს ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა ხალხის დიად მოხაპოვრებში. თავიანთ ყირილობაზე საბჭოთა პროფკავშირები მოვიდნენ მებრძოლ ორგანიზაციად, რომელიც მჭიდროდ შეკავშირებულია კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საბჭოთა პროფკავშირების მუშაობის შინაარსი და მიმართულება ახლანდელ პირობებში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, განსაზღვრეს სკკპ XXIII ყირილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის, 1965 წლის მარტის, სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებმა.

პროფკავშირთა ძალების თავმოყრისა და მოქმედების ძირითადი სფერო იყო და კვლავ არის სოციალისტური ეკონომიკა. საბჭოთა პროფკავშირები მუდამ იყვნენ პარტიის საყრდენი, დიდი მაორგანიზებელი ძალა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. მათი ეს როლი კიდევ უფრო გაიზარდა იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა გაკეთებით, რომლებიც განახორციელეს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ამ ბოლო წლებში ჩვენი საზოგადოების ეკონომიური და სოციალური პროცესების მეცნიერული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის დარგში.

საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა კომიტეტებისა და საბჭოების ყურადღების ცენტრში იყო ბრძოლა ახალ ხუთწლედში პარტიის მიერ დასახული ამოცანათა გადაწყვეტისათვის. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია უდიდესი ენთუზიაზმითა და ენერგიით ახორციელებენ პარტიის მიერ შემუშავებულ დიდ გეგმებს. ის წლები, რომლებში მუშაობის შესახებაც ანგარიშს გაბარებთ საკავშირო პროფსაბჭო, ის დრო იყო, როცა საბჭოთა კავშირის შრომიერი კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით შვიდწლიდის ორი უკანასკნელი წლის დამთავრების შემდეგ შეუდგნენ ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას და წარმატებით შეასრულეს ხუთწლიდის ორი პირველი წლის დავალებანი.

ჩვენი სამშობლო ამ პერიოდში უაღრესად სწრაფი ტემპებით ზრდიდა საწარმოო ძალების ძლიერებას. შესანიშნავი მიღწევები მოიპოვა მრეწველობამ. მწარმოებლობა ჩადგა 1800-ზე მეტი ახალი მსხვილი საწარმო. მარტო ამ წლებში შექმნილი ახალი ეკონომიური პოტენციალი რამდენჯერმე აღემატება ომამდელი 1940 წლის სამრეწველო პოტენციალს. ომისწინა მრეწველობა რომ შეგვექმნა, დაგვჭირდა მშვიდობიანი შრომის თითქმის ორი ათეული წელი, ხოლო ამ ბოლო დროს ყოველწლიურად ვაწარმოებთ მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე მთელი ომამდელი ოცწლეული მანძილზე. წარმატებით სრულდება ახალი ხუთწლედი, მისი პირველი ორი წლის მანძილზე ჩვენი ეკონომიკა ვითარდებოდა სწრაფი და მყარი ტემპებით. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო სალიტელეო 1967 წელი — დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის წელი, მრეწველობაში ამ წლის შრომითი მიღწევები საუკეთესოა ამ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე. დიდ წარმატებებს მიაღწიეს კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა, მექანიზატორებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა.

ეკონომიკის განვითარებაზე პროფკავშირთა ზემოქმედების ძირითადი მეთოდი იყო და კვლავ არის სოციალისტური შეჯიბრება. საანგარიშო პერიოდის მანძილზე საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პროფკავშირთა საბჭოებმა და კომიტეტებმა ამაღლეს სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დონე, გარდაქმნეს დარგების მიხედვით შეჯიბრების ორგანიზაცია, შეიმუშავეს შეჯიბრების მთელი რიგი ახალი ქმედითი ფორმები და მეთოდები.

საანგარიშო პერიოდი აღინიშნა წარმოების კოლექტივთა და მოწინავეთა ფრაკთა მნიშვნელოვანი პატრიოტული წამოწყებით.

საკავშირო პროფსაბჭოს XI და XIII პლენუმებმა განსაზღვრეს პროფკავშირთა ამოცანები იმ ეკლდებულებათა შესასრულებლად საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების გაშლისათვის, რომელიც მშრომელებმა აკისრეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად. დადგა რა საეთბილეო ეახტზე, მილიონობით ადამიანმა გვიჩვენა შრომითი გმირობის ნამდვილი ნიმუშები. საწარმოების, შშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების ათასზე მეტი კოლექტივი დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშებით. ეს დროშები დაჯილდოებულ კოლექტივთა შრომითი მამაცობის სიმბოლოა, ისინი ამაფრთოვებენენ ახალი შრომითი წარმატებებისათვის. წინასოციალისტური შეჯიბრების ბევრი გმირი ჩვენი ყირილობის დელეგატებს შორისაც არის. განვლილ 4 წელიწადში სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის 704 ათასზე მეტი კაცი დაჯილდოდა სპეციალური ორდენებითა და მედლებით, მათგან 3.606-ს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

წარმოების ნოვატორები და მოწინავენი მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, მთელი საბჭოთა ხალხის მშვენება და სიამაყეა, ისინი ნამდვილ ნიმუშებია. ასეთ ადამიანებზე ამყარებენ ჩვენ ეკონომიკურ ზრდას, ამ ადამიანებზე ... ეფუძნება ... ეკონომიკა ... ეფუძნება ... ეფუძნება ... ეფუძნება

ბუდაპეშტის ფორუმზე

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრა

ბუდაპეშტი, 27 თებერვალი. (საკდესი). გუშინ გვიან საღამოს გაავრცელეს შემდეგი კომუნიკე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრის გახსნის შესახებ:

26 თებერვალს საღამოს ბუდაპეშტში მუშაობა დაიწყო კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრამ.

საკონსულტაციო შეხვედრაში მონაწილეობენ შემდეგი კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები:

ავსტრალიის კომუნისტური პარტია,
ავსტრიის კომუნისტური პარტია,
არგენტინის კომუნისტური პარტია,
ბელგიის კომუნისტური პარტია,
ბულგარეთის კომუნისტური პარტია,
ბოლივიის კომუნისტური პარტია,
ბრაზილიის კომუნისტური პარტია,
დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია,
უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია,
ვენესუელის კომუნისტური პარტია,
ჰაიტის სახალხო ერთიანობის პარტია,
გვადელუპის კომუნისტური პარტია,
გვატემალის შრომის პარტია,
გერმანიის კომუნისტური პარტია,
გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია,
ჰონდურასის კომუნისტური პარტია,
საბერძნეთის კომუნისტური პარტია,
დანიის კომუნისტური პარტია,
დომინიკოს კომუნისტური პარტია,
ისრაელის კომუნისტური პარტია,
ინდოეთის კომუნისტური პარტია,
ირდანის კომუნისტური პარტია,
ირანის სახალხო პარტია,
ირლანდიის მუშათა პარტია,
ესპანეთის კომუნისტური პარტია,
იტალიის კომუნისტური პარტია,
კანადის კომუნისტური პარტია,
კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია,
კოლუმბიის კომუნისტური პარტია,
კოსტა-რიკის ხალხის ავანგარდის პარტია,
ლიბანის კომუნისტური პარტია,
ლუქსემბურგის კომუნისტური პარტია,
მაროკოს კომუნისტური პარტია,
მარტინიკის კომუნისტური პარტია,
მექსიკის კომუნისტური პარტია,
მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია,
ნიკარაგუას სოციალისტური პარტია,
პანამის სახალხო პარტია,
პარაგვაის კომუნისტური პარტია,
პერუს კომუნისტური პარტია,
პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია,
პორტუგალიის კომუნისტური პარტია,
რეიუნიონის კომუნისტური პარტია,
რუმინეთის კომუნისტური პარტია,
სალვადორის კომუნისტური პარტია,
სან-მარინოს კომუნისტური პარტია,
ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტია,
სირიის კომუნისტური პარტია,
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია,
ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია,
სუდანის კომუნისტური პარტია,
ტუნისის კომუნისტური პარტია,
თურქეთის კომუნისტური პარტია,
ურუგვაის კომუნისტური პარტია,
ფინეთის კომუნისტური პარტია,
საფრანგეთის კომუნისტური პარტია,
ცეილონის კომუნისტური პარტია,
ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია,
ჩილეს კომუნისტური პარტია,
შვეიცარიის შრომის პარტია,
ეკვადორის კომუნისტური პარტია,
სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტია.

შეხვედრაზე თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს აგრეთვე ალჟირელმა კომუნისტებმა.

ისლანდიის ერთიანი სოციალისტური პარტია და ნორვეგიის კომუნისტური პარტია შეხვედრაზე წარმოდგენილი არიან მეთვალყურეებით.

შეხვედრაზე მოვიდა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის სახელით შეხვედრის მონაწილე მოძმე პარტიების დელეგაციებს მიესალმა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი იანოშ კადარი.

საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილეებმა ცნობად მიიღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინფორმაცია საკონსულტაციო შეხვედრის მომზადების შესახებ.

პირველი დღის დასასრულს მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა დათქვეს თავმჯდომარეობის წესი. ყველა მოძმე პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობით აირჩიეს სამდივნო იმ წინადადებათა შემუშავების მიზნით, რომლებიც შეხვედრაზე უნდა განიხილონ, და მუშაობის წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით.

საკონსულტაციო შეხვედრა მუშაობას განაგრძობს ხუთშაბათს, 27 თებერვალს.

მთავროგის ჯილდოების გადაცემა

ამ დღეებში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ სამხედრო ფორმიანი ადამიანები, რომელთა კეთილშობილური შრომა მიზნად ისახავს საბჭოთა ხალხის სოციალისტური მონაპოვრების დაცვას, მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვას, სახალხო კონტროლის აქტივისტები, კულტურის მუშაკები, შესანიშნავი ქართული ღვინოების შემქმნელნი. აქ მათ საზეიმო ვითარებაში გადაეცათ მთავრობის ჯილდოები და საპატიო წოდებათა მინიჭების სიგელები, რომლებიც დიამსახურეს სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული და ნაყოფიერი შრომისათვის.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭაძემ წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. მ. ლელაშვილმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გადასცა ჯილდოები და სიგელები.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ გენერალ-ლეიტენანტი პ. ვ. გურიევი, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორი ნ. უ. ჯაში, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის სამჭედლო საამქროს სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე შ. მ. ლეჟავა, რომლებმაც მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

მ. მ. ლელაშვილმა გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და იმათ, ვინც დიამსახურა საპატიო წოდება, უსურვა შემდგომი წარმატებანი მუშაობაში, ბედნიერება და ჯანმრთელობა. (საქდესი).

მათემატიკოსები სწავლობენ

ბაკურიანში მუშაობა დაამთავრა სრულიად საკავშირო ზამთრის სკოლა-სემინარმა პროგრამირების ალგორიტმული ენების საკითხებზე. სემინარი მოაწყვეს სსრ კავშირისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების გამოთვლითმა ცენტრებმა.

13 დღის განმავლობაში მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, კიშინიოვის, რიგის, ტალინის, ნოვოსიბირსკის, თბილისისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მათემატიკის დარგის მეცნიერები და სპეციალისტები ეცნობოდნენ გამოსათვლელი მანქანების ახალ ალგორიტმულ „ენებს“. (საქდესი).

დავით იოსელიანი



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა— ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 74 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ქირურგი და მორფოლოგი, თბილისის აკადემიკოს მუსაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგე, სკკპ წევრი 1939 წლიდან, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **დავით ბიორბის-ძე იოსელიანი.**

დავით იოსელიანი დაიბადა 1894 წლის 17 აგვისტოს სოფელ ქვემო ხვედურეთში (ქარელის რაიონი). 1917 წელს წარჩინებით დაამთავრა სამხედრო სამედიცინო აკადემია. 1919 წელს არჩიულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ოპერაციული ქირურგიის და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის ასისტენტად. ამავე დროს იგი მუშაობს გამოჩენილი ქირურგის, პროფესორ ნ. კახიანის ხელმძღვანელობით ქირურგიულ კლინიკაში. 1929 წელს დ. იოსელიანი მივლინებულ იქნა 2 წლით ლენინგრადში, სადაც მუშაობს ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე ვ. ნ. შევკუნენკოს მეთაურობით, აქ იგი ეცნობა საბჭოთა მორფოლოგიის მოძღვრებას ადამიანის სხეულის ორგანოთა და მათი სისტემების ცვლილებადობის შესახებ და აგრძელებს ადრე დაწყებულ გამოკვლევას სახსრების და ძვლების ინერვაციის თავისებურების შესახებ.

1937 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მას ანიჭებენ პროფესორის წოდებას და ირჩევენ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიის და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის გამგედ. 1938 წლიდან მას შეთავსებით ირჩევენ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამოსახელე კათედრის გამგედ.

